საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკების.)

ბოლოლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 98

პარასკევი, 19 ნოემბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია: პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. ფაქიური ხელის მოსწერთათვის, ფასი ერთ ფურცელ 200 მან.

ფასი 10 მან.

№ 98 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 98

ახალი ფრონტი

ვრანგელის ჯარის განადგურება ენტანტის დამარცხებაა, ეს საბჭოთა რუსეთის გამარჯვებაა მსოფლიო ბურჟუაზიის კონტრ-რევოლიუციონურ ძალებზე. მაგრამ საბოლოო გამარჯვებაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, რადგან იგი უზრუნველყოფილი არ იქნება, სანამ მსოფლიო რევოლიუცია არ დაეუფლება მოგვ. ქვეყანას. მანამდე კი ბრძოლა საბჭოთა რუსეთსა და ენტანტას შორის მხოლოთ ადგილს და ფორმას იცვლის, თვარა არსებითათ იგი მუდამ დარჩება დღიურ წესრიგის უმთავრეს საკითხათ.

ერთი თვალის გადავლება საკმარისია, რომ დავინახოთ, ამ გრანდიოზულ ბრძოლაში რა სწრაფათ სცვლიდა ერთი ფრონტი მეორეს, რა თანდათანობით და ერთი მეორის ზედმიყოლით იპყრობენ ცენტრალურ ადგილს აქამდე უმნიშვნელო ასპარეზები. კოლჩაკ-დენიკინ-იუდენიჩის როლებს ცვლა რომ არ. მოვიხსენოთ, მარტო დასავლეთის ფრონტის ისტორიაც ცხადათ გვიჩვენებს, რომ აქ გაჩაღებული ბატარ-ბატარა სახელმწიფოები მორიგეობით გვევლინებიან. ცენტრალური ფიგურის სახით. ფილიანდია, პოლონეთი, ლატვია, ესტონეთი და სხ. ერთმანეთს სცვლიან როგორც ახალ-ახალი ფალავნები, რომელთა მიზანია, როგორმე დასცენ საბჭოთა რუსეთი. მაგრამ დაწყებული ფილიანდიიდან და გათავებული პოლონეთით სასტიკათ დამარცხდენ ენტანტის ფალავნები და უნაყოფო ჭიდილს დაეთმაენ. ჯერი ვრანგელზე მიდგა და ყირიმის ფრონტი შეიქნა ის ცენტრალური ადგილი, რომლის ლაშქარს უნდა გადაეწყვიტა საბჭოთა რუსეთის ბედი. ვრანგელის განადგურებით იცვლება ცენტრალური ფრონტი და ის ყირიმიდან გადადის აზიაში და კერძოთ ამიერ-კავკასიაში.

ამ ფრონტზე ჯერ არა სჩანს, გენერალური შეჯახება ენტანტისა და საბჭოთა რუსეთის შორის. ბრძოლის ველი დაკავებულია აქვთ შედარებით პატარა ძალებს, რომლებიც იპყრობენ საერთო ყურადღებას. სომხეთი და ოსმალეთის ქემალისტები ებრძვიან ერთმანეთს, როგორც დამოუკიდებელი ძალები. მაგრამ ცოტა დაკვირვების შემდეგ აშკარათ სჩანს, რომ ამ შეჯახების უკან იმალება იგივე გრანდიოზული ბრძოლა საბჭოთა რუსეთსა და ენტანტას შორის, რომელიც ავსებს მთელი მსოფლიო ცხოვრების შინაარსს.

სომხეთი, ოფიციალური სომხეთი დაშნაკელების უგუნურ პოლიტიკის წყალობით მუდამ ეკავშირებოდა რუსეთის კონტრ-რევოლიუციის და მსოფლიო იმპერიალიზმს. და სწორეთ ამან ჩააგდო ის დღევანდელ გამოუსვლელ მდგომარეობაში. ენტანტის მოწინააღმდეგე ქემალის ლაშქარი ყველა სომხეთის და მოსჭრა ის მისი მფარველი ევროპის იმპერიალიზმის ძალებიდან. საბჭოთა რუსეთმა გაანადგურა რუსეთის კონტრ-რევოლიუცია და მისი მომავალ სომხეთის მთავრობა ამ მხრიდანაც მოჭრილი და გარიგული გახადა. განადგურებული ვრანგელი ველარას უშველის სომხეთს, ვერაგი ენტანტა ადვილათ იმეტებს სომხეთს და აშნაირათ იგი განიცდის უსაშინელეს ტრაგიკულ დღეებს.

რომ შესაძლებელ იყოს და ქემალისტების მოძრაობა ენტანტის იარაღათ გადაიქცეს, ევროპის იმპერიალიზმი სიამოვნებით დასთანხმდება, რომ ქემალმა გადაუღალოს სომხეთი და შემდეგ განაგრძოს გზა საბჭოთა აღერბაიჯანის და რუსეთის წინააღმდეგ. საბჭოთა რუსეთი ვერ დასთანხმდება ამას, თუნდაც ქემალის ძალები არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდენ რუსეთის ძლეულ-მოსილი წითელი ჯარისათვის. მან უნდა გადაარჩინოს, სომხეთი კარზე მოვლენილ განსაცდელისაგან და ქემალის ლაშქარს პირი აბრუნებინოს ოსმალეთის მოსისხლე მტერს—ენტანტის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, საბჭოთა რუსეთმა უნდა უზრუნველყოს ოსმალეთი სომხეთის მხრით ყოველგვარ თავდასხმისაგან და შეძლება მისცეს ქემალის ლაშქარს დამშვიდებული გულით დასტოვოს სომხეთის ტერიტორია ძველ საზღვრებში, რომ შემდეგ მშვიდობიანი გზით მოწესრიგდეს სომხეთ-ოსმალეთის უფრო სამართლიანი საზღვრები.

ეს უზრუნველყოფა კი მხოლოდ იმ გზით შეიძლება, რომ დღევანდელი განწამები სომხეთი იქცეს იქაური მშრომელი ხალხის ქვეყნათ, სადაც ნაცვლათ ღვარძლით სავსე შოვინისტ-დაშნაკელებისა სახელმწიფოს სათავეში იქნება პროლეტარული სოლიდარობის მატარებელი მშრომელი ხალხი. წარმოუდგენელია, რომ სომხეთის მშრომელმა ხალხმა რაიმე აგრესიული მიზნები დაისახოს ოსმალეთის წინააღმდეგ. საბჭოთა სომხეთი სავსებით უზრუნველყოფს ოსმალეთს ყოველგვარი თავდასხმიდან.

საბჭოთა სომხეთი—ეი ერთათ ერთი გზა, რომელიც გამოიყენეს სომხეთის მშრომელ ხალხს თავზე დატეხილ აუტანელი გასაჭირიდან. მაშინ ქემალი სავსებით დაიმედებული მიმართავს თავის ძალებს ქვეყნის მყლაპავ ენტანტის წინააღმდეგ და ახალი ცენტრალური ფრონტი საბჭოთა რუსეთის სასარგებლოთ აღიმართება.

ყირიმიდან მიიღო ფისალმება საბერძნეთის და ბულგარეთის კომუნისტურ პარტიისგან და რუმინიის სოციალისტურ პარტიის მეგობრებისგან. ყირიმიდან საბჭოთა რუსეთში გაანადგურა რუსეთის კონტრ-რევოლიუცია და მისი მომავალ სომხეთის მთავრობა ამ მხრიდანაც მოჭრილი და გარიგული გახადა. განადგურებული ვრანგელი ველარას უშველის სომხეთს, ვერაგი ენტანტა ადვილათ იმეტებს სომხეთს და აშნაირათ იგი განიცდის უსაშინელეს ტრაგიკულ დღეებს.

რომ შესაძლებელ იყოს და ქემალისტების მოძრაობა ენტანტის იარაღათ გადაიქცეს, ევროპის იმპერიალიზმი სიამოვნებით დასთანხმდება, რომ ქემალმა გადაუღალოს სომხეთი და შემდეგ განაგრძოს გზა საბჭოთა აღერბაიჯანის და რუსეთის წინააღმდეგ. საბჭოთა რუსეთი ვერ დასთანხმდება ამას, თუნდაც ქემალის ძალები არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდენ რუსეთის ძლეულ-მოსილი წითელი ჯარისათვის. მან უნდა გადაარჩინოს, სომხეთი კარზე მოვლენილ განსაცდელისაგან და ქემალის ლაშქარს პირი აბრუნებინოს ოსმალეთის მოსისხლე მტერს—ენტანტის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, საბჭოთა რუსეთმა უნდა უზრუნველყოს ოსმალეთი სომხეთის მხრით ყოველგვარ თავდასხმისაგან და შეძლება მისცეს ქემალის ლაშქარს დამშვიდებული გულით დასტოვოს სომხეთის ტერიტორია ძველ საზღვრებში, რომ შემდეგ მშვიდობიანი გზით მოწესრიგდეს სომხეთ-ოსმალეთის უფრო სამართლიანი საზღვრები.

ეს უზრუნველყოფა კი მხოლოდ იმ გზით შეიძლება, რომ დღევანდელი განწამები სომხეთი იქცეს იქაური მშრომელი ხალხის ქვეყნათ, სადაც ნაცვლათ ღვარძლით სავსე შოვინისტ-დაშნაკელებისა სახელმწიფოს სათავეში იქნება პროლეტარული სოლიდარობის მატარებელი მშრომელი ხალხი. წარმოუდგენელია, რომ სომხეთის მშრომელმა ხალხმა რაიმე აგრესიული მიზნები დაისახოს ოსმალეთის წინააღმდეგ. საბჭოთა სომხეთი სავსებით უზრუნველყოფს ოსმალეთს ყოველგვარი თავდასხმიდან.

საბჭოთა სომხეთი—ეი ერთათ ერთი გზა, რომელიც გამოიყენეს სომხეთის მშრომელ ხალხს თავზე დატეხილ აუტანელი გასაჭირიდან. მაშინ ქემალი სავსებით დაიმედებული მიმართავს თავის ძალებს ქვეყნის მყლაპავ ენტანტის წინააღმდეგ და ახალი ცენტრალური ფრონტი საბჭოთა რუსეთის სასარგებლოთ აღიმართება.

ინტერნაციონალის გარშემო

საშხრეთ-სლავიის კომუნისტურ პარტიის მეოთხე კონგრესი.

ვუკოვარში (სერბია) 20—25 ივნისს მოხდა სამხრეთ სლავიის კომუნისტურ პარტიის კონგრესი. პირველი ყრილობა, რომელზედაც მოხდა გაერთიანება სერბიის, ბოსნიის, ჰერცეგოვინის ნოვაციის, სლავონიის, ვოეგოდინის, დალმაციის და სლოვენიის სოციალისტურ პარტიების, შედგა 20—23 აპრილს 1919 წ. ბელგრადში.

ამ მოხსენებებიდან, რომელიც ყრილობაზე იქნა გაკეთებული, სჩანს სამხრეთ—სლავიაში კომუნისტური მოძრაობა ძალიან მტკიცეა და საფუძვლიანი მიუხედავათ საშინელი რეაქციისა და ტერორისა, რომელიც მძინვარებს ამ ქვეყანაში,—ვოეგოდინში გამოცხადებულია საალყო წესები, კომუნისტური პარტია კანონგარეშეა გამოცხადებული, დალმაციაში ყველა პარტიული მოღვაწეები დატუსაღებულნა, პარტიული ორგანიზაციები დაკეტილი და ამის გამო დელეგატების ნაწილი ვერ დაესწრო ყრილობას. მეორე ყრილობაზე მიიღო მონაწილეობა 374 დელეგატმა 70 ათას შეკავშირებულ პარტიის წევრების წარმომადგენელმა. ამას გარდა ყრილობას დაესწრენ პროფ. ორგანიზაციების წარმომადგენელნი, რომელნიც აკავშირებენ 150 ათას მუშას. სამხრეთ სლავიაში გამოდის 18 პარტიული, კომუნისტური ორგანო. ამათ რიცხვში სამი ყოველდღიურია, დანარჩენი კი ან კვირეული და ან თვიური. ერთი წლის განმავლობაში პარტიამ გამოუშვა დიდძალი კომუნისტური ლიტერატურა.

ინგლისის გაზეთების ცნობის უარყოფა.

მოსკოვი, 17 ნოემ. (რადიო ლონდონში კრასინს) ინგლისის გაზეთები იტყობინებიან, ვითომ ჩვენ ულტიმატუმი წარუდგენიეთ საქართველოს. ეს მტკნარი სიცრუეა. რ. ს. ფ. ს. ა. არ წარგვიდგენია ულტიმატუმი არც საქართველოსთვის და არც სომხეთისათვის. კავკასიაში, როგორც ყველგან, საბჭოთა მთავრობა მიილტვის მშვიდობიანობისაკენ.

ჩვენთან მოდიან.

ბერლინი, 10 ნოემბ. საბერძნეთის პროფესიონალურ კავშირების კონგრესმა გადასწყვიტა შეუერთდეს მოსკოვის პროფესიონალურ კავშირების ინტერნაციონალს.

რუსეთი მზსნელია მთელი ევროპის.

მოსკოვი, 17 ნოემბ. ინგლისის ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა განაცხადა, რომ სანამ მსოფლიო ბაზარზე არ იქნება გამოტანილი რუსეთის მდიდარი სათადარიგო საქონელი, არ შეიძლება შეწყდეს მუშებს შორის უკმაყოფილება. უკმაყოფილების მიზეზია ცხოვრების ჰირობების გაუარესება. საქონელი არ იქნება საკმარ, სანამ ამას რუსეთი არ გამოგზავნის. მინისტრი შესაძლებლათ სცნობს, რუსეთთან შესათანხმებლათ გზების მონახვას და მასთან საგაჭრო ურთიერთობის აღდგენას.

ემზადებიან საგაჭროთ.

რიგა, 10 ნოემბ. შეიცარიაში მსხვილი სამრეწველოების წარმომადგენლების მონაწილეობით შესდგა სააქციონერო საზოგადოება, რომლის კაპიტალი განსაზღვრება 800 ათასი ფრანკით. საზოგადოების მიზანია რუსეთთან საგაჭრო ურთიერთობის აღდგენა იქ საქონლის შეტანა გამოტანის გზით.

ბუნაგებები ესპანიაში.

ლონდონი, 13 ნოემბ. ცხოვრების პირობების გაუარესების გამო, ქალაქ ზამორეპში მოხდა ქალების და ბავშვების დემონსტრაცია. მანიფესტანტებმა დაიკავეს სადგური და ერთი ვაგონი სურსათით. წესრიგის დასამყარებლათ გამოწვეულია ჯარები.

ფელიგოვსკი კოვნოს უტევს.

რიგა, 13 ნოემბ. ფელიგოვსკი კოვნოს მიმართულებით მთელ ფრონტზე შეტევაზე გადავიდა და მიუახლოვდა კოვნოს სიმაგრეებს 30 ვერსით. ლიტვის მდგომარეობა მძიმეა. ლიტვის წარმომადგენლებმა დელეგაცია გაგზავნეს რიგაში, რათა დახმარება გამოითხოვონ ლატვიის მთავრობისაგან. თავის მხრივ ლიგოვსკიმაც გაგზავნა რიგაში თავისი წარმომადგენლები.

საგაჭრო ურთიერთობა ინგლისთან.

ბერლინი, 10 ნოემ. საფრანგეთის გაზეთებს ატყობინებენ ლონდონიდან, რომ ძოკლე დროში განახლებულია რუსეთთან საგაჭრო ურთიერთობის აღდგენა. ინგლისის პირველი მინისტრი ლოიდ ჯორჯი მიეკულტილია კედელზე. ეხლა, თუ რომ მოლაპარაკება განახლდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ინგლისი სცნობს საბჭოთა მთავრობას. თუ რომ მოლაპარაკება არ განახლდა, მაშინ, გაზაფხულზე რუსეთის წინააღმდეგ შესდგება ახალი კოალიცია.

ახალი კომბინაციები.

ბერლინი, 11 ნოემბ. ამ დღეებში ბერლინში მოხდა მოლაპარაკება პეტლიურას მთავრობის წარმომადგენელსა და გერმანიის მთავრობას შორის. ამ მოლაპარაკებას დაესწრო უკრაინის ყოფილი გეტმანი სკოროპადსკი. საერთოთ ბერლინი გადაიქცა ეჭლა ცენტრათ, იმ უკრაინელ პოლიტიკანებისათვის, რომელთაც სურდათ უკრაინის შეერთება ცენტრალურ სახელმწიფოებთან. პეტლიურას მთავარ შტაბში მივიდნენ ამერიკის, საფრანგეთის, ინგლისის, პოლონეთის და ბელორუსიის სამხედრო მისსიები.

იაპონია და ჩინეთი.

რიგა, 12 ნოემბ. იაპონიის მთავრობამ დაადგინა გაეკეთოს იაპონია-ჩინეთის სამხედრო ხელშეკრულება, რომლის ძალით იაპონიის კანტროლის ქვეშ იყო ჩინეთის არმია. ამასთანავე გადაწყვეტილია იაპონიის ჯარის მანჯურიიდან გამოწვევა და საგარეო პოლიტიკის შეცვლა ჩინეთთან დაახლოებით.

თითქმის კადეტებიც კი ჯავრდებიან.

მოსკოვი, 16 ნოემბერი. რუბინინასა და ენტანტას შორის შეთანხმების ძალით ბესარაბიის პირველზე გადაცემის შესახებ კადეტების ცენტრალური კომიტეტი აცხადებს, რომ ამ ხელშეკრულებას „მომავალი“ რუსეთის მთავრობა არ იცნობსო.

ჩიჩერინის ნოტა ბრიტანეთის მთავრობას.

მოსკოვი, 15 ნოემბერი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამბ. ჩიჩერინმა ბრიტანეთის მთავრობას რადიო დეპეშა გაუგზავნა, რომელშიც აღნიშნავს, რომ მიუხედავათ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის — კრასინის — განცხადებისა, რომ საბჭოთა რუსეთი ინგლისთან საომარ განწყობილებაში არ არის, ბრიტანეთის მთავრობა ამ საკითხს მაინც სა-ზომით უმასპინძლდება. თავის ნოტაში ბრიტანეთის მთავრობა ვიღაც უბასუხოგებელო საბჭოთა მოხელის განცხადებას ეყრდნობა და აბარათლებს ამით თავის სამხედრო მოქმედებებს რუსეთის წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ. ბრიტანეთის ცნობით ინგლისი თავს იმით იმართლებს, რომ იგი ვითომც ასეთ სამხედრო მოქმედებით მხოლოდ თავის ინტერესებს იცავს შავ ზღვაზე. ჩიჩერინი განცვიფრებას გამოსთქვამს, იმის გამო, რომ ინგლისის რომელ ინტერესებზეა შავ ზღვაზე ლაპარაკი, როდესაც ინგლისის მთავრობამ თავის დროზე განაცხადა, რომ ვრანგელის ინტერესები ბრიტანეთის ინტერესებს არ ეხება. აბა-ტომ რუსეთის მთავრობას სწამს, რომ წყალქვეშა ნავების შესახებ ბრძანება გაუგებრობით არ არის გამოწვეული და იმედოვნებს, რომ ეს ბრძანება ძალე გაუქმებული იქნება.

ბერძნები უარს ამბობენ გადმოხვეწილების დახმარებაზე.

სტამბოლი, 2 ნოემ. ბრუსის გაზეთის „ჯაგატამარტ“-ის კორესპონდენტი იტყობინება, რომ ბერძნების მართველმა წრეებმა უარი უთხრეს კომისიას, რომელიც განაგებს გადმოხვეწილების საქმეს, რომ მათ არ შეეძლიათ დაეხმარონ სომხეთის გადმოხვეწილებს. კომისია ცდილობს კუმ-კაპის პატრიარხატში, რათა გაუწიონ სასწრაფო დახმარება გადმოხვეწილებს.

თევფიკ-ფაშას მთავრობის დეკლარაცია.

ტრაპიზონი, 10 ნოემ. თევფიკ-ფაშას მთავრობამ გამოუშვა დეკლარაცია, რომელშიაც სხვათა შორის ლაპარაკობს:

„მთავრობა იმყოფება ძალიან მძიმე პირობებში, მაგრამ კაბინეთს იმედი აქვს მოკავშირეების დახმარების მის მუშაობაში, რომელიც მიმართულია ბავის და მშვიდობიანობისაკენ. მთავრობა ეცდება მოსპოს ანარქია, რომელიც გამეფებულა ჩვენს ქვეყანაში და ხელს უშლის ქვეყნის აღორძინებას. ვიღებთ რა მხედველობაში ხალხის და სახელმწიფოს ლირსებას და პატიოსნებას, კაბინეთი დაიცავს ნაციონალურ ინტერესებს. ჩვენი მთავრობა ეცდება, ამისათვის მთავრობა შეიხრება ცენტრის, გაუქმების ყველა ბეჭედითი ორგანოებს.

რაც შეეხება ფინანსიურ თვალსაზრისს, მთავრობა ეცდება ბაკალის თავიდან ზედმეტი ხარჯები, რომ ამით რამენაირად გაუადვილოს ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა, რომელიც შერყეულია ომის გამო და ეცდება შეიდგინოს ახალი ბიუჯეტი შემოსავლის შესაფერად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო-სამეურნეო მუშების კონგრესი.

მოსკოვი, 8 ნოემ. ოქტომბრის ბოლო რიცხვებში ამსტერდამში შესდგა სასოფლო-სამეურნეო მუშების საერთაშორისო კონგრესი. წარმომადგენლები იყვნენ: ინგლისიდან, შვეიცარიიდან, გერმანიიდან, შვეციიდან, დანიიდან, ავსტრიიდან, იტალიიდან, ბელგიიდან და ჰოლანდიიდან, რომლებიც აერთებს ორ მილიონ წევრზე მეტს.

ჩეხო-სლოვაკია, პოლონეთი და საფრანგეთი სხვა და სხვა მიზეზების გამო ვერ დაესწრენ.

კონგრესმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვს ყველა მიწების სოციალიზაციას და მიჰმართავს ყველა წევრებს, იბრძოლონ ამის განსატარებლად ცხოვრებაში.

სამრეწველო კრიზისი ინგლისში.

ბერლინი, 31 ოქტომბერი. გაზ. „როტე ფანე“ ინგლისის მრეწველობის კრიზისის გამო შემდეგს სწერს:

„ეს კრიზისი საქონლის დარგში დაგროვებითაა გამოწვეული. იგი დიდხანსაც გაგრძელდება. საუკეთესო საზღვარგარეთული ბაზრები შექმნილ პოლიტიკური მდგომიარეობის გამო ინგლისისთვის ან სრულიად დაკეტილია, ან ვალიუტის საგრძნობათ დაცემის გამო, ძალიან მცირე მოთხოვნილებით კმაყოფილდება, როგორც მაგალითად რუსეთის და გერმანიის, ან თვითონ იღრჩობიან დაგროვებულ საქონლებში. ინგლისის ქარხნები სულ უფრო და უფრო ამცირებენ საქონლის დამზადებას. მანჩესტერის ბამბეულობის რაიონში, რომელიც ნახევარ ქვეყანას აწოდებდა და აკმაყოფილებდა კიდეც თავისი საქონლით, ფაბრიკები კვირაში 4—5 დღეს მუშაობენ.

ამ ჟამად კრიზისი შეფილდის რკინის და ფოლადის ჩამომსხმელ ოლქებსაც მოედვა. გოლანდიის გაზ. „ტელეგრაფის“ ცნობით, შეფილდის ერთი დიდი ქარხნიდან იმის გამო, რომ ნაკლებათ არის საქონელი დაკვეთილი, რამოდენიმე ათასი მუშა დაითხოვეს. ამ ქარხანას მჭიდრო კავშირი აქვს უფლიერეს შეერთებულ ფოლადის ჩამომსხმელ ტრესტთან. მწარმოებელ კაპიტალისტურ წრეებში აშკარათ გამოთქვამენ, რომ ამ ქარხნის დადგომა სათავეა ინგლისის მძიმე სამრეწველო კრიზისისო.

ფაბრიკების დახურვა პარიჟში.

მოსკოვი, 5-ნოემბერი. პარიჟში სამრეწველო კრიზისის გამო ფაბრიკების დახურვამ და უმუშევართა ჯარის ზრდამ საზღაპრო სახე მიიღო. სენის დეპარტამენტში საავტომობილო მრეწველობა 40 პროც. შემცირდა, წიგნების—40 პროცენტით, ტყავეულობის 75 პროცენტით.

მთავრობა მიატოვეს.

რიგი, 5 ნოემბერი. ვენიდან იუწყებიან, რომ მინისტრები—სოციალ დემოკრატები პარლამენტის შოწვევამდის მთავრობიდან გავიდენო. გარეშე საქმეთა სამინისტროს სათავეში პროფესორი მაიერი მოვიდა, სამხედრო სამინისტროს სათავეში-კი პოლკოვნიკი კერნერი.

ახალი კაბინეთის საგარეო პოლიტიკა.

ტრაპეზონდი, 10 ნოემბერი. გაზეთი „ისტიკბალი“ სწერს:

„ახალმა კაბინეთმა აღიარა, რომ იგი მოკავშირეების დახმარებას საჭიროებს. მაგრამ ამის შესახებ იგი კანტიკუნტათ ლაპარაკობს, გამოუკვეველი სიტყვებით და წინადადებით ამახინჯებს აზრებს.

თევფიკ-ფაშის მთავრობა ამბობს, რომ ამ ჟამათ შინაურ საკითხების გარეშე საკითხებიდან გამოყოფა არ შეიძლება. ანატოლიის საკითხი უფრო საგარეო საკითხია. ეს სამართლიანი პროტესტია ეგრედწოდებულ საზავო ხელშეკრულობის წინააღმდეგ, რომელიც შუაში გლეჯს ოსმალეთს. ეს ბუმარიტება უკვე შეიგნო ყველამ. თევფიკ-ფაშის კაბინეთი ხმას იმაღლებს იმ უსამართლობის წინააღმდეგ, რომელიც ანაკუწებს ოსმალეთს და ხელს აღებინებს მას დამოუკიდებელ პოლიტიკურ არსებობაზე.

ცხადია, რომ ახალი კაბინეთი სულ სხვაგვარ დახმარებას მოელის მოკავშირეებისგან, ვიდრე ფერიდფაშის კაბინეთი მოითხოვდა. ფერიდ—ფაშა მოითხოვდა, რომ მას მიხმარებოდენ იარაღით და მისი საბრძანებელისთვის ძალით შეერთებია ანატოლია. იგი აგრეთვე თანახმა იყო, რომ იარაღით განეხორციელებინათ საზავო ხელშეკრულების პირობები. თევფიკ—ფაშის კაბინეთი, ფერიდის პოლიტიკის დამარცხების შემდეგ, უთუოდ მშვიდობიან შეთანხმების პოლიტიკას დაადგება. ამ შემთხვევაში მოკავშირეებმა ახალ კაბინეთს დახმარება უნდა გაუწიონ. ანატოლიის საკითხის გადაჭრა მხოლოდ დათმობითი გზით შეიძლება. იგი არასდროს, არავითარ შემთხვევაში საზავო ხელშეკრულების პირობების სრულიად ასრულებას არ დასთანხმდება.

რამდენათ თევფიკ-ფაშა მართალია, იმაში, რომ იგი ანტანტისგან ხელშეწყობას მოითხოვს, ამას მომავალი გვიჩვენებს. ოსმალეთის ხალხის მოთხოვნილებანი მინიმალურია.

ჩვენი აზრით, მხოლოდ თვალსაჩინო დათმობა მოკავშირეების მხრივ ჩაყენებს საკითხს რეალურ შეთანხმების ჩარჩოებში.

საბერძნეთი და ოსმალეთი.

სტამბოლი, 2 ნოემბერი. საბერძნეთ-ოსმალეთის დაახლოვების გამო გაზ. „ალემდარი“ სწერს.

„საბერძნეთ-ოსმალეთის დაახლოვება შესაძლებელია იქცეს შეთანხმებათ, კავშირათ, მჭიდრო კავშირათაც-კი, როგორც თავდაცვისათვის; ისე შეტევისთვისაც-კი. ოსმალ-ბერძნების დაახლოვება, როგორც წარმოდგენილი გვქონდა, ამ ხალხების მომავალს ხელს შეუწყობს. ალი-ქემალ ბეი მომხდარი ამბებით რომ დაინტერესებული იყოს, იგი წაიკითხავდა ვენიზელოსის განცხადებას, რომელიც ამბობს: „ოსმალეთთან მეგობრობას ჩვენთვის ყოველთვის სარგებლობა მოჰქონდა. მე ყოველგვარ ღონეს ვიხმარ ამ მეგობლის გასაძლიერებლათ, რათა აღმოსავლეთში დაცულ იქნეს წონასწორობა.“

იაპონიის განზრახვები.

მოსკოვი, 18 ნოემბ. გაზ. „იზვესტია“ თავის სტატიაში—„იაპონიის განზრახვები“—სწერს, რომ იაპონიის მტაცებლები აშკარა, გაიძვერა იმპერიალისტურ პოლიტიკას აწარმოებს რუსეთის შორეულ აღმოსავლეთის ნაწილის მიმართ. იაპონია არ მალავდა თავის გეგმას, მას იმედი ქონდა, რომ ანტანტა მოუწონებდა ამ პოლიტიკას ციმბირის მიმართ. მაგრამ, როდესაც ამერიკის ბანკირებმა და ფინანსისტებმა შესძახეს იაპონიას ამის გამო, იაპონიამ ბოდიში მოიხადა და განაცხადა, რომ მას ეშინოდა ბალშევიკების თავდასხმის და ამიტომაც ის იძულებული იყო შეტევითი მოქმედება დაეწყო. ერთი კი ცხადია, რომ იაპონიამ დაისახა თავის მიზნათ ტერიტორიალური გაფართოება წყნარ ოკეანეს ნაპირების შემოერთებით. ამიტომაც იაპონიამ განაიარაღა რუსი სამხედრო ძალები ზღვის ნაპირა მაზრებში და ცდილობს მოხსნას ვლადივასტოკის და ნიკოლაევსკის სამაგრეები. იაპონიის გენერალურ შტაბს განზრახვა აქვს შექმნას ბუფერული საბანპირო სიმაგრე ზონა, რომელიც იწყება შანხაის ნახევარ კუნძულიდან, გაივლის კვანტურგს და ზღვის ნაპირა ოლქს და მიებჯინება კამჩატკას. ასეთია იაპონიის იმპერიალიზმის სურვილები. იაპონია დაეინებით ეცდება ამ გეგმის განხორციელებას. ამიტომ შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის წინაშე სდგას კითხვა, რომ აშკარათ ეწინააღმდეგოს იაპონიის მტაცებლურ ზრახვებს. რადგან ეს ამავე დროს შეეხება ჩინეთის ინტერესებსაც, ამიტომ ისინი უნდა გაერთიანდენ და შეებრძოლონ იაპონიის განზრახვებს, აზიის მატერიკის მონაწილე გახდეს.

ადმირალი ხორტი.

ლიონი, 17 ნოემბ. ადმირალმა ხორტიმ უარყო უნგრეთის კაბინეთის გადადგომის წინადადება.

კულტურახანი ფრანგები.

ლიონი, 17 ნოემბ. საფრანგეთის მიერ საზავო ხელშეკრულობის ძალით გერმანიიდან და ავსტრიიდან მიღებულ სამხედრო გემებს მოიხმარებენ, როგორც სანიშნებელ საგნებს, რასაც ეუმბარებს ესვრიან სამხედრო მფრინავები ვარჯიშობის დროს.

გერმანიაში.

მოსკოვი, 18 ნოემბ. კომუნისტების კონგრესზე მემარცხენე დამოუკიდებლების ლიდერმა განაცხადა: „ჩვენ ალტაცებით მოველით იმ დღეს, როდესაც მოხდება დამოუკიდებლების ერთიანება კომუნისტებთან. მახლობელ მომოდგომაზე ჩვენ იძულებული ვიქნებით გადაჭრილი ნაბიჯები გადავდგათ. ჩვენ პირის პირ წარვსდგებით ყოველივე შესაძლებელ შედეგებთან“.

საფრანგეთ-საბერძნეთის დამოკიდებულება.

ლიონი, 18 ნოემ. ათენიდან მოსულ ცნობების თანახმათ, მეუმრავლესეთა ლიდერები ამბობენ, კონსტანტინესთვის უფლებების დაბრუნებაზე, როგორც მოხდარ ფაქტზე შესაძლებელია „ოლიას“ რეგენტობაც. საფრანგეთი, ეტვი არ არის, არ იცნობს კონსტანტინეს, და ის ავტატზე, საფრანგეთი არ დაიჭერს მასთან არავითარ დიპლომატიურ კავშირს. ანტანტა ვენიზელოსის მოწინააღმდეგე სამინისტროს ყურადღებას მიაქცევს იმ ცვლილებაზე, რომელიც მოხდება საბერძნეთ ოსმალეთის დამოკიდებულებაში.

ათინაში.

ლიონი, 18 ნოემბ. ვენიზელოსის მოწინააღმდეგე პარტიები ტერორს აწარმოებენ თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიმართ. მოკლულია ორი ბავშვი. (?) საქმეში ჯარი ჩაერია. (?)

საბჭოთა რუსეთში

ლითონზე მომუშავეთა კვირა.

მოსკოვი, 8 ნოემბ. სრულიად რუსეთის ლითონზე მომუშავეთა ც. კ. არსებული საპროპაგანდო ბიურო, აწყობს „ლითონზე მომუშავეთა“ კვირას, რომელიც იწყება 1 დეკემბრიდან. ამ კვირის განმავლობაში ყველა ქარხნებთან არსებული რაიონული კომიტეტები მოაწყობენ მიტინგებს და მოხსენებებს გამომუშავებულ კითხვებზე. ყველა ქარხნებში ეწყობა სამაგალითო დამრტყმელი ჯგუფები გაძლიერებულ მუშაობისათვის. კვირის გასატარებლათ ბიურო ამზადებს სათანადო წარწერებს და პლაკატებს.

მოთხრობებზე კონკურსი.

მოსკოვი, 8 ნოემბ. სახალხო განათლების კომისარიატის ლიტერატურულმა განწყობილებამ გამოაცხადა სრულიათ რუსეთის პირველი კონკურსი მხატვრულ მოთხრობებზე, რომელშიაც იქნება გატარებული პირველ სოციალური რევოლიუციის მომენტი და კომუნიზმისათვის ბრძოლა. პირველი და მეორე პრემია იქნება 100.000 მან., მესამე—75 ათასი მანეთი, მეოთხე და მეხუთე 50 ათასი მანეთი,

ტრანსპორტის აღდგენა.

მოსკოვი, 2 ნოემ. ვოლგა-ბუგულმინის რკინის გზამ შეასრულა მასზე დაკისრებული მუშაობა 1920 წლის 3 თვის განმავლობაში ე. ი. ორჯერ უფრო ადრე განსაზღვრულ დროისა.

სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინის გზას, № 1042 ბრძანების ძალით უნდა გამოეშვა 35 ორთქლმავალი, გამოუშვა კი 70 ორთქლმავალი. ნორმა გადამეტებულია 100 პროც.

საბჭოთა აზერბაიჯანში.

ნავთის ექსპლოატაციის პროექტი.

ბაქო, 8 ნოემ. ინჟინერ-გეოლოგ აპრესოვმა, ბაქოს ტექნიკურ საზოგადოებაში გააკეთა მოხსენება ახალ მეთოდზე ნავთის ექსპლოატაციისა, რომელიც საშვალებას მოგვცემს გავაკეთოთ ის, რის გაკეთებაც ამდენ ხანს არ შეგვეძლო: გამოვიყენოთ ნავთის წყაროები, რომელიც იმყოფება ბაქოს და შუბანის მიდამოებში.

ნავთის კომიტეტთან არსებულმა ინჟინერთა კომისიამ მოიწონა ამხ. აპრესოვის პროექტი და აირჩია კომისია, რომელიც ამ პროექტს ტექნიკური მხრით გაეცნობა.

ნავთის კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. სერგეზროვსკიმ ნება დართო მიეცეს მას ამ პროექტის განსახორციელებლათ 25 მილიონი მანეთი.

პურის ხორბლის დაგროვება

მოსკოვი, 5 ნოემ. 15 ოქტომბრამდის სამარის გუბერნიაში დაუმზადებიათ 1 მილიონ 716 ათასი 535 ფუთი პური.

ლ. ტროცკი

პარიზის კომუნა და საბჭოთა რუსეთი

(გაგრძელება იხ. „ახ. კომ.“ № 96.)

V პარიზის მუშა—1871 წ. პეტერბურგის პროლეტარი 1917 წ.

იმ დაპირისპირებაში, რომელსაც ჩადის კაუცკი კომუნას და საბჭოთა რუსეთს უმოტივო და პოლიტიკურად უსირცხვილოა ის, რომელიც ეხება 1871 წ. პარიზელი მუშის და 1917 რუს. პროლეტარის დახასიათებას; პირველს ის ხატავს რევოლიუციონურ ენტუზიასტათ, რომელსაც შეუძლია წავიდეს უდიდეს თავის განწირვაზე, მეორეს კი—ეგოისტათ, „შკურნიკათ“ და სტიქურ ანარქისტათ.

პარიზის მუშას თავის ისტორიაში საკმაოდ გარკვეული წარსული აქვს, რომ იგი საჭიროებდეს რევოლიუციონურ რეკომენდაციებს—ან და დღევანდელ კაუცკის ხოტბასა და დაცვას. ამის და მიუხედავათ პეტერბურგის პროლეტარიატს არ აქვს და არც შეიძლება ქონდეს არავითარი მოტივი, რომ გაექცეს ამ დაპირისპირებას მის უფროს გმირ ძმასთან. პეტერბურგის მუშების შეუწყვეტელი სამი წლის ბრძოლა—პირველად ძალა-უფლების დასაპყრობად, შემდეგ კი მის შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად—წარმოადგენს რაღაც არა ჩვეულებრივი ისტორიულ მატიანეს კოლექტიური გმირობისა და თავგანწირვისა, როდესაც ეს ბრძოლა წარმოებდა სიცივეს, შიმშილის და მუდმივი საშიშროების წარმოუდგენელ პირობებში. კაუცკი, როგორც ამას ჩვენ ვარკვევთ სხვა ადგილას, ადარებს საუკეთესო კომუნარებს რუსეთის პროლეტარიატის ყველაზე უფრო ბნელ ელემენტებს. აქაც კაუცკი როგორც ყოველგან, არ განირჩევა ბურჟუაზიული სიკოფანტებისგან, რომელეთათვის უკვე მკვდარი კომუნარები ყოველთვის გაცილებით უფრო სასიყვარულო არიან ვიდრე ცოცხლები. პეტერბურგის პროლეტარიატმა 4½ ათეულ წლით გვიან აიღო ხელში ძალა უფლება ვიდრე პარიზის მუშებმა. ამ ვადამ ჩვენ მოგვცა უდიდესი უპირატესობანი, ხელოსნური, წვრილ-ბურჟუაზიული ბასიათი ძველის და რამოდენიმეთ ახალი პარიზის სრულიად უცხოა პეტერბურგის თავის, სადაც ადგილი აქვს მსოფლიოში ყველაზე უფრო კონცენტრაციულ წარმოებას. უკანასკნელი პირობა არა ჩვეულებრივ ამსუბუქებდა, როგორც აგიტაციის და ორგანიზაციის საქმეს, აგრეთვე საბჭოთა უფლების დამკვიდრებასაც. ჩვენს პროლეტარიატს დაახლოვებითაც არა აქვს ის რევოლიუციონური ტრადიციები, რომლებითაც ასე მდიდარია პარიზის მუშათა კლასი. მაგრამ სამაგიეროთ ჩვენი მუშების წინა თაობას ხსოვნაში დღევანდელი რევოლიუციის დასაწყისში ჯერ კიდევ ძლიერ ცოცხალია—დიდი გამოცდილება 1905 წლის რევოლიუციისა, მისი დამარცხება და მისგან ნაადრევი ვალი—შურის ძიებისა.

რუსეთელ მუშებს არ გაუვლიათ, მსგავსად ფრანგ მუშებისა დემოკრატიის და პარლამენტარიზმის ხანგრძლივი სკოლა, რომელიც განსაკუთრებულ დროს წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს პროლეტარიატის პოლიტიკური კულტურისათვის. მაგრამ, მეორე მხრივ, რუსეთის მუშათა კლასში ვერ მოასწრო დამკვიდრება გულის გატეხის და სკეპტიციზმის შხამმა, რომელიც, მოჰყავს რევოლიუციონურ კულტურიზებულ არიან ვიდრე ცოცხლები. პეტერბურგის პროლეტარიატმა 4½ ათეულ წლით გვიან აიღო ხელში ძალა უფლება ვიდრე პარიზის მუშებმა. ამ ვადამ ჩვენ მოგვცა უდიდესი უპირატესობანი, ხელოსნური, წვრილ-ბურჟუაზიული ბასიათი ძველის და რამოდენიმეთ ახალი პარიზის სრულიად უცხოა პეტერბურგის თავის, სადაც ადგილი აქვს მსოფლიოში ყველაზე უფრო კონცენტრაციულ წარმოებას. უკანასკნელი პირობა არა ჩვეულებრივ ამსუბუქებდა, როგორც აგიტაციის და ორგანიზაციის საქმეს, აგრეთვე საბჭოთა უფლების დამკვიდრებასაც. ჩვენს პროლეტარიატს დაახლოვებითაც არა აქვს ის რევოლიუციონური ტრადიციები, რომლებითაც ასე მდიდარია პარიზის მუშათა კლასი. მაგრამ სამაგიეროთ ჩვენი მუშების წინა თაობას ხსოვნაში დღევანდელი რევოლიუციის დასაწყისში ჯერ კიდევ ძლიერ ცოცხალია—დიდი გამოცდილება 1905 წლის რევოლიუციისა, მისი დამარცხება და მისგან ნაადრევი ვალი—შურის ძიებისა.

დეზერტირებათ, თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ არც დეზერტირობაში იყო ნაკლულევანება. რომ არმია მართლაც მებრძოლი იყოს, პირველად ყოვლისა, საჭიროა მართველობის სწორი და ერთი ცენტრის მორჩილი აპარატი. კომუნას ამის ხსენებაც არ ქონდა.

ერთი ავტორის გამოთქმით, კომუნის სამხედრო უწყება იყო ბნელი ოთახი, სადაც ყველანი ერთი-მეორის ეხეთქებოდენ. სამინისტროს კანცელარია ავსებული იყო აფიცრებით, უბრალო გვარდიელებით, რომლებიც ითხოვდენ სამხედრო მასალებს, სანოვაგეს, სჩიოდენ, რომ მათ არ ეცვლებიან და სხვა. მათ აგზავნიდენ კამენდანტთან.

„ზოგი ბათალიონები 20 და 30 დღით რჩებოდენ ტრანშეებში, მაშინ, როდესაც მეორენი მუდმივ რეზერვში იმყოფებოდენ. ასეთმა დაუდევრობამ სულ მალე ჩაკლა ყოველგვარი დისციპლინა. მათ, ვინც მამაცები იყვნენ, სულ მალე მოინდომეს დამოუკიდებლად მოქმედება; მეორენი კი სამსახურს გაურბოდენ. ამგვარადვე მოქმედებდენ აფიცრებიც. ზოგნი ტოვებდენ თავის სადარაჯოებს, რომ დახმარება გაეწიათ ბრძოლაში მყოფ მეზობლისათვის, ზოგნი კი ქალაქისაკენ მიეშურებოდენ“. („პარიზის კომუნა“.. ლავროვი. გვ. 100).

ასეთი რეჟიმი ცხადია არ დარჩებოდა დაუსჯელი: კომუნა სისხლში იქნა ჩამხრჩვალი.

მაგრამ, კაუცკის აქაც მოუპოება შეუდარებელი დასაიმედებელი არგუმენტი.

„ომის წარმოება,—ამბობს იგი, თავის ქნევით—საზოგადოთ არ წარმოადგენს ძლიერ მხარეს პროლეტარიატისას“. (გვ. 76).

ეს, პანგლოსის ღირსი აფორიზმი სამართლიანად შეგვიძლია დავაყენოთ ერთ დონეზე კაუცკის მეორე დებულ აფორიზმთან, სახელდობრ, რომ ინტერნაციონალი არ წარმოადგენს საგარგის იარაღს ომის დროს, რადგან ის, თავისი შინაარსით არის ინსტრუმენტი მხოლოდ მშვიდობიანი ხსნის.

ამ ორ აფორიზმში მოთავსებულია სრულად მთელი დღევანდელი კაუტკი, რომელიც უდრის სრულ არარაობას ცოტათ დამატებითი.

ხომ იცით, ომის წარმოება არ არის საზოგადოთ ძლიერი მხარე პროლეტარიატისა, მით უმეტეს, რომ ინტერნაციონალიც არ შემდგარა ომიანობის ეპოქისათვის. კაუცკის ხოშალდი შენდებოდა არა გაშლილ ზღვის და ქარიშხლიან ეპოქისთვის, არამედ ტბებისა და დამდგარი ბუხტებისთვის.

და თუ კი ამ ხომალდმა დენა იწყო და დაიშალა და დღეს თავისუფლად მიდის ზღვის ძირისკენ, ამაში დამნაშავეა ქარიშხალი, ზღვის სივრცე, ტალღების არაჩვეულებრივი სიდიდე და კიდევ მთელი რიგი გაუთვალწინებელ პირობებისა, რომელთათვის კაუცკის არ დაუნიშნავს თავისი საუცხოო ინსტრუმენტი.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲙᲐᲠᲐᲙᲣᲚᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲑᲐᲥᲝ, 10 ნოემბ. ნოემბრის პირველ რიცხვებში კრასნოვოდსკიდან მოსკოვს გაიგზავნა 12 ათასი ცალი კარაკულის ტყავი.

ᲜᲐᲕᲗᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲜᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 3 ნოემდ. 4 ოქტომბრამდის ბაქოდან და სხვა ნავთსადგურებიდან ზღვით ასტრახანში გაგზავნილია 129 მილიონ. 960 ათასი ფუთი ნავთი. ათ ოქტომბრამდის ასტრახანში მოვიდა 125 მილიონი, 440 ათასი ფუთი ნავთი. დღე-ღამეში შეუთანა რიცხვით მრდიოდა 1 მილიონი ფუთი ნავთი. 14 ოქტომბრამდის საერთოთ ასტრახანში გაიგზავნა 140 მილიონი, 589 ათასი 772 ფუთი ნავთი, ასტრახანში კი მივიდა 130 მილ.,—850 ათასი, 500 ფუთი ნავთი.

ᲛᲬᲔᲠᲐᲚ ᲠᲝᲡᲚᲐᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐ.

ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲝᲓᲐᲠᲘ, 12 ნოემბ. 10 ნოემ. გარდაიცვალა რუსეთის კომ. პარტიის წევრი, მწერალი ა. როსლავლევი. უკანასკნელ დროს როსლავლევი ნოვოროსისკში ხელოვნების ქვე-განყოფილების გამგეთ იყო. და აგრეთვე რედაქტორობდა გაზ. „კრასნოე ჩერნომორიეს."

ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝᲔᲑᲘ ᲡᲐᲢᲣᲡᲐᲚᲝᲨᲘ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 16 ვოემბ. ვიტებსკის სატუსალოში მოეწყო ჩექმის ბ თეთრეულების საკერავი, ზეინკლის და დურგლის სახელოსნოები. მოეწყო აგრეთვე კლუბი, სამკითხველო და წიგნთ-საცავი.

ᲕᲠᲐᲜᲒᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲐ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 17 ნოემბ. გაზ. „პრავდაში", სტატიაში „ვრანგელის განადგურება", სწერია, რომ დღეს არის დღე წითელი ჯარების ბრწყინვალე, დიადი გამარჯვებების ანტანტის მიერ ცნობილ ერთერთ გენერალზე. ყირიმი თითქმის განთავისუფლებულია, აღგვნულია სიმფეროპოლ-სევასტოპოლი და ფეოდოსია. ბურჟუაზიელმა სახელმწიფოებმა ვერ კი მიასწრეს ვრანგელის ცნობა და ის განადგურებულ, მიწის პირისაგან აღგვილ ყმნა. რევოლიუციის მიერ; რამდენიმე დღის შემდეგ ვრანგელი უკვე აღარ იქნება. მტრების იმედები ისევ ერთი მეორეზე. უკანასკნელ დროს ჩვენში სწარმოებს გაძლიერებული კრიტიკა ჩვენი სამეურნეო აღმშენებლობის საქმის შესახებ. ჩვენ ვმსჯელობდით იმაზე; რომ სწორათ გადაგვეწყვიტა ჩვენი ასალი სამეურნეო ორგანიზაციის შესახებ კითხვა. ამან ისევ სული შთაბერა ზოგიერთეს, რომლებიც ფიქრობენ საბჭოთა მთავრობის მოსპობას მიგნიდან. მაგრამ მოკლე დლიანია ასეთი იმედები. საბჭოთა მთავრობა ახლა უფრო ძლიერია, ვიდრე ოდესმე იყო ის. და თუ ჩვენ კამათი და დავა გვაქვს ჩვენი ცხოვრების მოსაწყობ ფორმების შესახებ, ეს იმას ამტკიცებს, რომ მასსები ძლიერ არიან დაინტერესებულნი იმის გაკეთებაში. რასაც ვაკეთებთ ჩვენ დასაღუპათ განწირულის მაგიერ.

ᲑᲚᲐᲒᲝᲕᲔᲨᲩᲔᲜᲡᲙᲗᲐᲜ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲐᲚᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ.

ᲕᲔᲠᲜᲔᲣᲓᲘᲜᲡᲙᲘ, 28 ოქტ. მიღებულია ცნობები, რომ სამართულო კავშირი ქ. ჩიტით ბლაგოვეშჩენსკამდის აღდგენილია.

ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲔᲑᲖᲔ

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲐᲓᲘᲝ ᲪᲜᲝᲑᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲕᲔᲚᲔ ᲨᲢᲐᲑᲘᲡ „ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲝᲜᲘᲡᲐ" 17 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ.

ᲡᲐᲛᲮ. ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ. ᲤᲠᲝᲜᲢᲘ.

ლეტიჩევის მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა მიაღწიეს ჰუნქტს ლეტიჩევის სამხრეთ-აღმოსავლეთით 12 ვერსზე და განაგრძობენ მკაცრ შეტევას.

პროსკუროვის მიმართულებით ვსძლიეთ მტრის სასტიკ წინააღმდეგობას მკაცრ ბრძოლების შემდეგ და გამოვედით მდ. ბუგზე. წამოყვანილია ტყვეები, ხელთ ვიგდეთ იარაღი და სხვა დავლა.

კამენეც-პოდოლსკის მიმართულებით, 16 ნოემბერს ჩვენ ავიღეთ ქალაქი კამენეც-პოდოლსკი,

ᲣᲙᲠᲘᲜᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘ

ფედოსიის რაიონში ჩვენი ნაწილები მთელ ფრონტზე გამოვიდენ ზღვის ნაპირათ.

კერჩის მიმართულებით, ჩვენმა ცხენოსნებმა უბრძოლველათ დაიკავეს ქ. კერჩი, სადაც ჩაიგდეს აურაცხელი დავლა.

რესპუბლიკის საველე შტაბის რევოლუციონერული ვოენკომი: **ᲓᲐᲜᲘᲨᲔᲕᲡᲙᲘ.**

ᲨᲝᲠᲡ ᲮᲔᲚᲔᲑᲘ!

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 18 ნოემბერი. (რადიო). გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა მიიღო ცნობები, რომ ინგლისელებს განზრახული აქვთ ჩაიგდონ ხელთ ბათომი. ამის გამო, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა გაუგზავნა ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრს განცხადება, რომელშიაც პროტესტს აცხადებს ამ ქალაქის ხელში ჩაგდების განზრახვის გამო და ლაპარაკობს, რომ ბათომის აღება იქნება პირდაპირი მუქარა საბჭოთა რუსეთისათვის და აზერბაიჯანისათვის. თუ მოკავშირეები განიზრახავენ კავკასიაში ახალი ფრონტის შექმნას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და ჩაითრევენ მას ახალ ომში, საბჭოთა მთავრობა მთელი ძალღონით შეებრძოლება ასეთ მოვლენას. ასეთი განცხადება გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა გაუგზავნა საქართველოს მთავრობასაც.

ᲠᲔᲞᲠᲔᲡᲘᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 31 ოქტ. თუ როგორი შურის ძიების გრძნობით გამსჭვალული დევნის და აწამებს მილიერანის მთავრობა ყველა იმათ, ვინც კი გაბედავს და პროტესტს განაცხადებს მის წინააღმდეგ, რომ საფრანგეთი დღეს საბჭოთა რუსეთის გამომბუდველის როლში გამოდის, ამას მოწმობს გაზ. „ჰუმანიტეში" გამოქვეყნებული მეზღვაურების დამცველ კომიტეტის მოწოდება:

„ციხე მისჯილნი საერთოთ ყველაზე 400—შავი ზღვის გმირი მეზღვაურები განიცდიან აუწერელ ტანჯვას. მათ ციხე აქვთ მისჯილი, როგორც პოლიტიკური დამნაშავე, მაგრამ მათ გპყრობიან, როგორც სისხლის სამართლის წესით დასჯილთ. მათ უფლებაც არ აძლევენ გაზეთები იკითხონ; მათ უფლება არ აქვთ ერთი მეორეს დაელაპარაკონ. ყოველ წვრილმან რამესთვის მათ სცემს ციხის დარაჯი და ამწყვდევს „კარცერში", რომელიც საშინლად ნოტიოა. ერთი დატყვევებულთაგანი, ახალგაზრდა მეზღვაური ბრუნეტი კვდება ქლექისაგან ნიმეს ცენტრალურ ციხეში. მეორე მეზღვაურმა ბადიკმა სასიკვდილოთ გასწირა თავი და გაიქცა ამ ჯოჯოხეთიდან. მათი უფროსები არ დაკმაყოფილდენ სევასტოპოლში მეზღვაურების დახვრეტით, დაატუსაღეს და დახვრიტეს მეზღვაური ბადიკიც. ჩვენ მოვითხოვთ, რომ სამხედრო სასამართლო იქნეს ღია კარებში. ჩვენ გვინდა ნათელი მოვფინოთ მეზღვაურების ამ პროცესს. ჩვენ გვსურს, რომ მთელი სამართლე იქნას ნათქვამი. ბადიკა და მისი ამხანაგი, მარტი უფროსი მექანიკი, ორივე რესპუბლიკანელებია და სოციალისტები. ისინი აღფოთებულნი იყვნენ როგორც თავიანთი აფიცრების მოქმედებით, ისე იმ როლით, რომელიც დააკისრეს შავი ზღვის ფლოტს და ამიტომაც გაიყვანეს თავისი ტულონში.

აი, ის დანაშაული, რომლისათვისაც მარტის მიუსაჯეს ოცი წლის ციხე და ბადიკს კი—სიკვდილით დასჯა.

მუშებო, ნუ თუ თქვენ ნებას მისცემთ, რომ დახვრიტონ ეს ადამიანი? ნუ თუ თქვენ დაუშვებთ, რომ აღასრულონ ეს ბოროტება? ნუ თუ თქვენ აფიქრებინებთ მეზღვაურებს, რომ თქვენ მიატოვეთ, დაივიწყეთ ისინი, ვინც ხალხის საკეთილდღეოთ თავი გასწირეს?

„ᲑᲐᲥᲝᲡ ᲙᲐᲠᲔᲑᲗᲐᲜ."

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 18 ნოემბ. გაზ. „პრავდა" სტატიაში: „ბაქოს კარებთან" სწერს:

„საბჭოთა რუსეთს კვლავ საფრთხე მოელის სამხრეთიდან. ვრანგელი დამარცხებულია. ის თავის ამალით დასხდა გემებზე და გაემგზავრა ანტანტის ტურფა ნაპირებისკენ, იმ ანტანტის, რომელმაც ვრანგელი რუსეთის მონარქათ იცნო. მაგრამ ლონდონის და პარიზის ბირჟის მტაცებლები არა ცხრებიან უკანასკნელ დროს ანტანტის პრესა ბუკსა და ნაღარას სცემს: ოსმალეთს ბათომის დაკავება სურსო. ის მოითხოვს ინგლისის და საფრანგეთის ფლოტის გაგზავნას ოსმალეთის საწინააღმდეგოთ, ყოველივე ეს, რასაკვირველია, ჩვეულებრივი მეთოდია კაპიტალისტურ მტაცებლების მხრივ, მაგრამ ფაქტია ის, რომ ამით მზადდება ახალი, საბრძოლო ანტიკურა.

ყოველივე ამას ერთი საიდუმლო აქვს: ბათუმი—ეს ბაქოს კარებია. კაპიტალისტურ სახელმწიფოების მტაცებლები ყოველივე ზომებს ხმარობენ, რათა ხელში ჩაიგდონ ეს მთელ ქვეყანაზე უმდიდრესი ნავთის წყარო (ბაქო). ბატონ მოკავშირეებს ანგარიშები ემზადებათ. მათ ალბათ დაავიწყდათ ის გაკვეთილები, რაც მათ მასწავა წითელმა არმიამ. ჩვენ კი ამ შემთხვევაში ერთხელ კიდევ მოვაგონებთ მათ. ეს ჩვენთვის „არ იქნება ძნელი. თუ რომ მოკავშირეთ სურთ ამითსთქვან: „უკეთესია გვიან, ვიდრე არასოდეს"-ო ამ შემთხვევაში ისინი წაგვიგენ იმ ინგლისელს რომელიც მატარებელზე დარჩა და ამ ფრაზით ინუგეშა თავი. რევოლიუციის მატარებელი ელვის სისწრაფით მიექანება. მას ვეღარ დაეწვიან სიზეზიანი ბებრუანები!

ᲕᲠᲐᲜᲒᲔᲚᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲨᲘ.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 18 ნოემბ. (რადიო). „ტაიმზ ანრიზიენი", იტყობინება, რომ „გენერალი ვრანგელი მოვიდა სტამბოლში. სტამბოლში მოვიდა აგრეთვე 40 ათასი გადმოხვეწილი სევასტოპოლიდან.

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ-ᲒᲐᲠᲔᲗ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 18 ნოემბ. (რადიო). 7 ნოემბრის ნომერში „ჰუმანიტე"-ს პირველ გვერდზე დიდი ასოებით სწერს: „გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკას". პირველ გვერდზევე დაბეჭდილია ლენინის, ტროცკის, ზინოვიევის და ლუნაჩარსკის სურათები. იქვე არის მოყვანილი მარქსის და ლენინის ნაწარმოებებიდან ამონაწერები. „ჰუმანიტეის მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენლებს სწერს, რომ „უზურპატორული" მთავრობა დიდხანს ვერ იარსებებს, მაგრამ უკვე სამი წელიწადია ის არსებობს. სასწაულებრივ იცავს თავს კაპიტალისტურ ქვეყნების თავდასხმისაგან. მსოფლიო ბურჟუაზია უშედეგოთ ებრძოდა მამაცებს, რომლებმაც უარყვეს ბურჟუაზიული უფლება და სამი წლის განმავლობაში ვერ სძლია რუსეთის პროლეტარების წინააღმდეგობა.

ათი კვირის კომუნამ დატოვა ისტორიაში ამოუშლელი კვალი. საბჭოთა რეჟიმმა შექმნა ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში. საბჭოთა რესპუბლიკა არამც თუ ცოცხლობს, არამედ ის ქმნის ახალ სოციალურ ფორმებს ძველი დაღუპულ საზოგადოების ნანგრევებზე და არ არის ადამიანის შრომის ექსპლოატაცია"!

ინგლისელმა კომუნისტებმა გამოაქვეყნეს ამ დღეს მოწოდება, რომელშიაც ისინი სწერენ, რომ მიუხედავათ მოსყიდულ კონტრ-რევოლიუციონერების სამხედრო მოქმედებისა, მიუხედავათ უსინდისო ბლოკადისა, რომელიც ცდილობდა ჩაეხრჩო საბჭოთა რუსეთი, ვერ შესძლო მან ეს და საბჭოთა რუსეთი მაინც ცოცხლობს. ვულოცავთ რა რევოლიუციის 3 წ. თავს, გამოესთქვამთ იმედს, რომ დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის რევოლიუციონური ჯარები მივიდენ რუსეთის პროლეტარიატის საშველათ. მოწოდება თავდება შემდეგი სიტყვებით: „გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ რუსეთის სოციალისტურ რესპუბლიკას"

ᲞᲐᲡᲢᲐᲠᲘᲡ „ᲞᲐᲜᲐᲛᲐ" ᲡᲐᲥ. ᲔᲠᲝᲒᲐᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

რამდენიმე კვირის წინეთ, ერობათა კავშირის კომიტეტის წევრს, ბ. ცეკვაშვილს, რომელიც განაგებს ერობათა კავშირის საკომერციო განყოფილებას, პატარა უბიწო კომერციული კომბინაცია გაუკეთებია, ალბათ დემოკრატიის სადღერგძელოდ და ასაყვავებლათ. რა კი ერობათა კავშირის საწყობებში კიდევ დარჩენილა სხვა და სხვა საქონელი, რომელიც ბაზარზე მეტათ ძვირად ფასობს, შეაცვლეს იშტას პუტანია კომიტეტის წევრი ბ. ცეკვაშვილიც. თავის ერთგული მარჯვენა ხელად კანტროლიორ ფანიაშვილის შუამავლობით ის შეთანხმებია ვიღაც სპეკულიანტ ძოწენიძეს და მის სახელზე გამოუწერია ორდერი 450 ფუთ მაუთულის გასატანათ საწყობიდან, საკუთარ ფასში, ე. ი. 2000 მან. ფუთზე, იმ დროს როცა ბაზარზე მავთული ფასობს 8—10 ათასი მანეთი.

ეგებ „ერთობამ" კეთილ ინებოს და ამცნოს ქვეყანას: სად არიან ამ „პანამის" მოქმედნი პირნი? გაბაწრუღნი არიან და ციხეში, თუ თავისუფლად დასეირნობენ დემოკრატიის სატანტო ქალაქში?

ანი.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ.

ᲡᲐᲛᲮ.-ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ ᲬᲘᲗᲔᲚᲛᲐ ᲯᲐᲠᲛᲐ ᲐᲘᲦᲝ Ძ. ᲙᲐᲛᲔᲜᲔᲪ-ᲞᲝᲓᲝᲚᲡᲙᲘ.

ᲧᲘᲠᲘᲛᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲯᲐᲠᲔᲑᲘ ᲛᲘᲐᲓᲒᲔᲜ ᲛᲗᲚᲐᲗ ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲜᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ. ᲣᲑᲠᲫᲝᲚᲒᲔᲚᲐᲗ ᲐᲘᲦᲔᲡ Ძ. ᲙᲔᲠᲩᲘ, ᲙᲝᲜᲢᲠᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲘᲡ ᲣᲮᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲒᲣᲓᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲮᲔᲚᲗ ᲘᲒᲓᲔᲡ ᲐᲣᲐᲠᲪᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲕᲚᲐ.

ᲕᲠᲐᲜᲒᲔᲚᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲨᲘ ᲒᲐᲘᲪᲐ.

ᲡᲐᲒᲭᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲒᲒᲐᲠᲔᲗᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲗ ᲐᲛᲮ. ᲩᲘᲩᲔᲠᲘᲜᲛᲐ ᲡᲐᲠᲝᲢᲔᲡᲢᲝ ᲜᲝᲢᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲙᲔᲠᲖᲝᲜᲡ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲝᲙᲣ�პᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ

„ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲗ" ᲗᲣ ᲡᲘᲡᲮᲚᲔᲚᲘᲗ?"

1920 წ. 14 ნოემბრის ბეჭდვითი საქმის კავშირის საზოგადო კრების გამგეობის არჩევნების შესახებ, დამფუძნებელ კრების სტამბის მუშები, ს. ჩხაიძე, ნ. დონდუა, ბ. ჩხარტიშვილი და ბ. სტეფანა სწერს გაზ. „ერთობა"-ში, ვითომ მათ არჩევნების დროს მეორე ნომრისთვის შეცდომით მიეცეთ ხმა, რადგან პირველი სია იყო ყველა მიმართულების და რაკი ბალშევიკებმა ამ პირველ სიაზე უარი განაცხადეს, შემდეგ ამბ. თამაზაშვილმა გამოაქვეყნა ისეთი სია, რომელშიაც ყველა პარტიები შედიოდა გარდა ბალშევიკებისა, და მესამე სია გამოაქვეყნა ვ. ბოღვაძემ. ჩვენ მომხრე ვიყავით პირველ სიის, მაგრამ რაკი პირველი მოიხსნა ჩვენ იმ სიას მივეცით ხმა, რომელიც ამბ. თამაზაშვილმა მეორეთ წამოაყენეთ. და, მოითხოვენ უახლოეს დროში ხელახალ არჩევნებს. „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს". ბატონებო, როცა თქვენ თვით ამბობთ, რომ თამაზაშვილის მიერ პირველად წამოყენებული სია მოიხსნა და შემდეგ კენჭი ეყარა ამავე თამაზაშვილის მიერ მეორეთ წამოყენებულ სიას და მესამეს, ბალშევიკების სიასო. ეხლა გეკითხებით, მესამე სია საიდან შეიძლებოდა კენჭის ყრის დროს ყოფილიყო, როცა ის თავიდან მოსპეს და კენჭის ყრის დროს ხმარებაში აღარ იყო, როგორც თქვენ სწერთ?

ამას გარდა ნუ თუ თქვენს ყურებს არ ესმოდა, რომ ამბ. თავმჯდომარე ელბაქიანმა ჯერ რუსულად, მერე ქართულად და შემდეგ სომხურათ, თითოეულ ენაზე სამჯერ რომ გახმეორა; „თუ როგორ უნდა მომხდარიყო კენჭის ყრა, ვის ეკუთვნოდა პირველი და ვის მეორე ნომერი?

კი, შეცდომაც შეიძლება ასეთ დროს და ასეთ პირობებში დაუშვას ისეთმა პირმა, რომელსაც ცოტათ მაინც სისულელისკენ აქვს თავი დაკავებული და ის საზოგადო საქმესაც ერთგულ ყურადღებას მიაქცევს; მაგრამ თქვენ ხომ არა ხართ ასეთები და, რომც იყოთ, ერთ სტამბიდან ერთად ოთხის სისულელე ჩემის აზრით წარმოუდგენელია. მაშ რაშია საქმე?

არ არის სამალავი; ერთხელ კიდევ გსურთ ჰკრათ ზღვას დასაწვავად მუგუზალი, თუ გინდ ეს მოითხოვდეს განგებ თავის გასულელებას, ვინმეს მიერ ძალადობას რომ რამენაირათ მიაღწიოთ თქვენს მიზანს.

თუ ადამიანს სირცხვილ-ნამუსის გრძნობა დაეკარგება, ყოველივეს იკადრებს. ამ უკანასკნელად მეტი, რომ არაფერი გაუვიდათ საწყლებს, უდღეურს და გზააბნეულ „მოსამსახურეებს", ეხლა „სისულელესაც" იყენებენ ბრძოლის იარაღათ.

აი, ამას ქვია სამსახური, ამის ქვია სულიან-ხორციანათ შეწირვა იმ არმაზზე; რომელიც იმათთაც, იმ საწყლებს სიხარულში და ტკბილ ხარხარში დაცინვით შეუმჩნევლად სწოვს სისხლს.

შეეწირეთ, შეეწირეთ, ეგებ არმაზმა თქვენც მოგვევლინოთ ბედნიერება.

ი. ლისაშვილი.

Ს. Დ. Ს. ᲓᲔᲙᲐᲔᲨᲔᲑᲘ

ᲪᲠᲣ ᲮᲛᲔᲑᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. „იზვესტიაში" დაბეჭდილია მთავრობის ცნობა, რომელშიაც აღნიშნულია შემდეგი; „უცხოეთის პრესა ავრცელებს ხმებს თითქმის საბჭოთა ჯარში მასსიური დეზერტირობა იყოს გავრცელებული, თითქოს რუსეთში ხდებოდეს აჯანყებები, ტერორისტული აქტები, ხიდების და გზების აფეთქება და სხვა" აღნიშნული ხმები ყოველგვარ სიმართლეს მოკლებულნი არიან. (რაიონ. განყ.).

ᲐᲜᲢᲐᲜᲢᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ.

ვარანგელის დაღუპვის შემდეგ ჩვენ გავანადგურეთ სხვა და სხვა ბანდიტთა რაზმები უკრაინაში და დასავლეთ რუსეთში. მუშები და გლეხები, რომლებიც გამარჯვებას ზეიმობენ, ფხიზლად უნდა იდგენ თავის პოზიციებზე. ვრანგელის განადგურების შემდეგ დასავლეთის ბურჟუაზია იძულებული იქნება გაუწიოს ანგარიში საბჭოთა რუსეთს და აღდგინოს მასთან სავაჭრო დამოკიდებულება. მაგრამ არის ინგლისში მეორე ბურჟუაზიული მიმდინარეობა ეს სამხედრო პარტია რომელიც არ ანებებს თავს რუსეთის წინააღმდეგ მტრობას. სამხედრო პარტია ოცნებობს საქართველოში ბათომის დაკავების და ამ პარტიის მიზანი არის ბაქოს დაკავება. საბჭოთა რუსეთი იმედოვნებს, რომ ინგლისში გაიმარჯვებს ის ჯგუფები, რომლებიც საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების მომხრენი არიან. საბჭოთა რუსეთი აფრთხილებს დასავლეთის ბურჟუაზიას, რომ ეგი მზათ არის მოიგერიოს ახალი თავდასხმა. (როსტა).

ᲛᲘᲮᲐᲚᲛᲔᲑᲐᲜᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

სალონიკში კომუნისტების მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია მოწყდა. დემონსტრანტები ლენინის სურათებით დადიოდენ. ისინი ყვიროდენ; „ძირს საზღვრები. ძირს ომი. გაუმარჯოს რუსეთს". მოხდა შეტაკება პოლიციასთან. სალონიკის პროფ. კავშირთა საბჭომ საერთო გაფიცვა გამოაცხადა. საბჭო დამნაშავე პოლიციელების დათხოვას მოითხოვს. (როსტ.)

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲪᲮᲝᲚᲕᲠᲔᲑᲐ

ᲩᲕᲔᲜᲨᲘ

ᲒᲔᲠᲜᲐᲓᲘᲗᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲑᲐᲠᲨᲔᲛᲝᲛ.

1920 წელს 14 ნოემბერს ქ. თბილისში, მუშათა კლუბში, შესდგა ბეჭედითი საქმის პროფესიონალურ კავშირის წევრთა საერთო კრება. დღის წესრიგში იყო დასმული: 1) ძველი გამგეობის მოხსენება, 2) ახალი გამგეობის არჩევა და სხვა კითხვები. მოხსენებას ანგარიშებზე და გამგეობის წასულ „ნაყოფიერ" მუშაობაზე აკეთებს დიბორგინიძე, რომელმაც ხოტბა შეასხა გამგეობის წარსულ მოღვაწეობას და აღნიშნა რომ, ვერც ერთი შემადგენლობის გამგეობა ვერ გააკეთებდა ამას, რაც გავაკეთეთ ძველმა გამგეობამ. სხვათა შორის ისიც აღნიშნა რომ, მუშების ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ ზომები ვერ მივიღეთ, და არც შეგვეძლო მისი გაუმჯობესებათ.

რაც შეეხება ახალ გამგეობის არჩევნებს, ამისთვის ჰქონდათ წინასწარი მოლაპარაკება კანდიტატების დასახელებაზე, მაგრამ შეთანხმება არ მომხდარიყო ორ მიმდინარეობათა შორის, ერთ მხრივ მენშევიკ-ფედერალისტ-სოციალისტ-რევოლიუციონერ-დაშნაკელების ბლოკის და მეორე მხრივ კომუნისტების. კომუნისტები თანახმა იყვნენ ოთხი მათი კანდიტატის, მხოლოდ თუ სეკრეტარის ამხანაგის ადგილი ეჭვმოდათ პრეზიდიუმში, მაგრამ შეერთებულმა ბლოკმა ამაზე არ დასთანხმდა. ამის შემდეგ იყო წარმოდგენილი საერთო კრებაზე ორი სია: ერთი შეთანხმებული ბლოკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მეორე კომუნისტების. კრებამ მიიღო: ორივე სიას ეყაროს კენჭი და რომელიც მეტ ხმას მიიღებდა, ის იქნებოდა დამტკიცებული.

შემდეგ იყო წინადადება ფარული კენჭის ყრით ხმის მიცემისა. ამის წინააღმდეგ გამოდის პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურ საბჭოს წევრი ჩხენკელი და ამტკიცებს რომ, თუ ერთი მესამედი კრებისა არ მოითხოვს ფარულ კენჭის ყრას, ისე არ არის დასაშვებიოთამაშაშვილი და დობორჯგინიძეც მოითხოვდა აშკარა კენჭის ყრას კრება მიდის კომპრომისზე (თუმცა ასეთი საარჩევნო კანონი ბატონ ჩხენკელისაგან იყო შეთხზული) და ხმის უმეტესობით მიიღო ფარული კენჭის ყრა 116-მა 8 7-ს წინააღმდეგ. მენშევიკების და მისი ბლოკის სია იყო პირველი ნომერი და კომუნისტების სია მეორე ნომერი. ფარული კენჭის მიცემით პირველ ნომერმა მიიღო 106 ხმა და მეორე ნომერმა 122 ხმა.

ამ რიგათ იქნა არჩეული ბეკვდიოი საქმის პროფესიონალურ კავშირის ახალი გამგეობა კომუნისტებისაგან.

ხ. გურიევი

საზღვარ-გარეთ

რუსეთის დელეგაციის საკითხი ტრედუნიონელთა ყრილობაზე.

რუსეთის პროფესიონალური კავშირების დელეგაციის როლი ევროპაში ამ ჟამათ კარგ-თვისებიანი საფუარის როლს ემზგავსება, რომელიც აზვირთებს მუშათა მასსებს.

ბრიტანეთის მთავრობის ყოფა-ქცევამ, რომელმაც უარი განუცხადა რუსეთის დელეგაციას ინგლისში შესვლაზე, ტრედუნიონელების უკანასკნელ ყრილობაზე საინტერესო დებატები გამოიწვია.

პირველად გამოვიდა ამბ. რობერტ ვილიამსი, რეზოლიუციის ავტორი, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია: „ყრილობას არ ესმის, თუ რისთვის თავაზიანად და სტუმარ-მოყვარეობით ხვდებიან რუსეთის მთავრებს, თავადიშვილებს, შემამულეებს, კაპიტალისტებს და რუსეთის მუშების წარმომადგენლებს კი ბრიტანეთის მიწა-წყალზე ფეხის დაბიჯების ნებასაც არ აძლევენ“.

ვილიამსი უპირდაპირებს რუსეთის თავაზიან მასპინძლობას ინგლისელებისადმი ინგლისის მთავრობის უდიერად მოქცევას რუსეთის დელეგაციისადმი. იგი აღნიშნავს, რომ იმ დროს, როდესაც რუსეთის პროფესიონალური კავშირების წარმომადგენლებს პირობას ადებინებენ, რომ ინგლისში პროპაგანდა არ აწარმოონ, ასეთ პირობას არავინ სთხოვს იმ ემიგრანტებს, რომლებიც მოდიან ჩვენს ქვეყანაში, რათა აიძულონ ჩერჩილი რუსეთის კონტრ-რევოლიუციას შესწიროს ინგლისის მუშების სიცოცხლე და დოვლათი. „რუსეთის დელეგაციისთვის აკრძალვა ინგლისში შესვლაზე, უფრო წარმატებით და მოხდენილათ ამაღლებს საბჭოთა ძალა-უფლებას, ვიდრე ამას საუკეთესო პროპაგანდა მიაღწევდა—ქრისტიანიაში რუსეთის პროფესიონალური კავშირების წარმომადგენლებმა 40-ზე მეტი ტელეგრამა მიიღეს სხვა და სხვა პროფესიონალური კავშირებიდან. ტელეგრამებში ადგილობრივი კავშირები სოლიდარობას უცხადებდა რუსეთის მოძრაობას“. ბენ ტერნერიც, რომელიც მაინცა და მაინც საბჭოთა სისტემას არ უჭერს მხარს, აღფრთოვანებით იცავდა რეზოლიუციას.

ტერნერი ამბობს: „მთავრობას ეშინია რუსეთის შესახებ სიმართლის გამომჟღავნების. იგი რამდენიმე თვის განმავლობაში ინგლისის პროფესიონალური კავშირების წარმომადგენლებს უკრძალავდა რუსეთში გაბაზავრებას. ჩემს სიკაბუკის დროს მე ვიკვეხდი, რომ ბრიტანია მთელს დედა-მიწაზე ფრიად თავისუფალი ქვეყანაა-მეთქი. ის მიესალმა თავის სახლში გორიბალდ. კოშუტს. მაგრამ ახლა ლოიდ-ჯორჯი და ჩერჩილი უბრალო მუშებს უფრთხიან, არ უშვებენ ინგლისში“.

რეზოლიუციის წინააღმდეგ ყველაზე უფრო მკაცრათ ხეველოკ ვილსონმა გაილაშქრა. მისმა ლაპარაკმა ყრილობა ფრიად ააღელვა. სტვენაში და ხმაურობაში მან აღიარა, რომ რაკი ინგლისი საბჭოთა რუსეთთან საომარ განწყობილებაში არის, საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლების შემოშვებაზე ლაპარაკიც ზედმეტიაო.

ვილსონს პასუხი გასცა მთამადნებზე მომუშავეთა ბელადმა—სმაილსმ. ვილსონი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ვილიამსი ამაოდ იცავს რუსეთის პროფესიონალური კავშირებს, ვინაიდან იგი მუდამ სამხედრო ბეგარის წინააღმდეგი იყო და საბჭოთა რუსეთი კი სამხედრო ბეგარას არა თუ სპობს, უფრო აძლიერებს. ამაზე სმაილმ სთქვა: ვილსონი დასცინოდა ვილიამსს და ტერნერს მათი სამხედრო ბეგარისადმი განწყობილებისთვის. მაშასადამე ვილსონი ჩემს წინააღმდეგაც უნდა წარსულიყო. მე მუდამ ვამტკიცებდი, რომ თუ კონსკრიპციებზე ვილაპარაკებთ, უნდა დავიწყოთ მიწების და სხვა სიმდიდრის კონსკრიპციებიდან. ამიტომ მე ვეუბნები ვილსონს, რომ რუსეთს მეტი უფლება აქვს მობილიზაცია უყოს თავის დასაცველათ თავის ხალხს და მთელი თავისი სახელმწიფოს სიმდიდრეს, ვიდრე ომის უფლება ომის დროს ინგლისს ჰქონდა. რამდენათ ვიცი, რუსეთში წითელი არმიის შესაქმნელათ დიდი მაიძულებელი ზომები არ ხმარებულა, იგი თითქმის ბუნებრივათ წარმოიშვა. და ძალიან გაძლიერდა. ასე წარმოიშვება ახალი არმია ჩვენს ქვეყანაშიც, როდესაც მთელი ქვეყნის სიმდიდრე ჩვენს ხელში იქნება.

ტომმანმა საკითხი კიდევ უფრო ფართეთ დასვა: ყველაზე უფრო არსებითი პრობლემა—მუშების სასარგებლოთ წარმოების მოწყობა. ამ პრობლემის გადაწყვეტას რუსეთის ხალხი უკვე შეუდგა. ამ გზაზე და ამ მუშაობაში იგი საარაკო ნიჭს და უნარს იჩენს. აწი ინგლისელებს შეშვენის, მათი მოწაფეობა. ამიტომ საჭიროა ჩვენში რუსეთის პროფესიონალური კავშირების წარმომადგენლები შემოვიდნენ.

რეზოლიუცია ერთხმათ იქნა მიღებული. წინააღმდეგ მხოლოდ ერთი—ხეველოკ ვილსონი წავიდა.

პარტიული ცხოვრება

გურიის კომუნისტური ორგანიზაციების კონფერენცია.

კვირას, 7 ნოემბერს გურიაში, შესდგა გურიის ორგანიზაციების კონფერენცია. მიუხედავათ რაიონების ერთი მეორესგან სიშორის და ძლიერ ცუდი ამინდებისა კონფერენციაზე გამოცხადენ რაიონების წარმომადგენელთა უმრავლესობა და იგი კანონიერათ და სრულუფლებიანათ იქნა აღიარებული.

კონფერენციამ შეიმუშავა შემდეგი დღის წესრიგი: 1) მოხსენებები, (პარტიული თათბირისა, ბაქოში აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობის შესახებ, მოხსენება კომიტეტის პრეზიდიუმის და მოხსენებები ადგილებიდან). 2) მომავალი მუშაობის ხასიათი, 3) ცეკას შესახებ. 4) პარტიული მუშაობა და პარტიული მოვალეობანი. 5) ფინანსიური მხარე, 6) არჩევნები გურიის კომიტეტის, საარგეზიო კომისიის, საგუბერნიო კომიტეტის წევრების და სხვა. 7) განცხადებები და სხვა და სხვა.

სანამ კონფერენცია დღის წესრიგის განხილვას შეუდგებოდა პრეზიდიუმის ერთ-ერთი წევრი აკეთებს მოხსენებას 7 ნოემბრის გადატრიალების მნიშვნელობის შესახებ, ეხება საბჭოთა რუსეთის დღევანდელ პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას და დაასკვნის, რომ ხსენებული მდგომარეობა რუსეთის პროლეტარიატისა გაცილებით უფრო მტკიცე, ურყევი და ძლიერი არის, ვიდრე ეს ამ ერთის წლის წინათ იყო და, რომ საერთაშორისო პროლეტარული სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვებაც უზრუნველყოფილია.

კოფერენციამ კმაყოფილებით მოისმინა მოხსენებები. მომხსენებელს მისცენ ზოგიერთი შეკითხვები, რაზედაც გაცემულ იქნა დამაკმაყოფილებელი პასუხი. ამის შემდეგ კონფერენცია შეუდგა დღის წესრიგის განხილვას. პირველათ ისმენს თ-რის მოხსენებას აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობის შესახებ. რის შემდეგ ერთი პრეზიდიუმის წევრი მოხსენებას აკეთებს კომიტეტის მოღვაწეობის შესახებ ლეგალიზაციის შემდეგ.

ამ მოხსენების შესახებ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „გურიის კომუნისტური ორგანიზაციების კონფერენციამ მოისმინა რა მრხსენება გურიის კომიტეტის მოღვაწეობის შესახებ ლეგალიზაციიდან პარტიის ლეგალიზაციის გამოცხადებისა, საგანგებით იწონებს მას და გადადის მორიგ კითხვაზე.

ამის შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენებები ადგილებიდან, საიდანაც გამოირკვა, რომ უკანასკნელათ პარტიული მუშაობა რაიონებში შეფერხებულია, როგორც რეპრესიების გავლენით, ისე ტეხა-ბრეფის გამო კონფერენცია ავალებს ყველა რაიონულ კოლექტივებს, რომ მეტი ენერგია გამოიჩინონ პარტიული მუშაობის დროს და აიყვანონ იგი საჯურველ ლონემდე.

მეორე კითხვის შესახებ კონფერენციამ იქონია მსჯელობა და დაადგინა, რომ იგი სწორათ და მიზანშეწონილათ სცნობს დასახელებულ კითხვის შესახებ გურიის კომიტეტის, მისი პრეზიდიუმისა და მასთან ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის დადგენილებებს.

მესამე კითხვა იდგა ცეკას შესახებ, კონფერენციამ დაადგინა: საქართველოს კომ. პარტიას აქვს საშვალება შექმნას ბასუხის მგებელი ცენტრი, რომელსაც მჭიდრო კავშირი ექნება რ. კ. ბ. ცენტრალურ დაწესებულებებთან.

კონფერენცია მოითხოვს ამ მიზნისთვის სულ ახლო მომავალში პარტიულ კონფერენციის ან ყრილობის მოწვევას და იქ ცეკას არჩევას.

მეორე კითხვის შესახებ (პარტიული მუშაობა და პარტიული მოვალეობანი) კონფერენცია სავსებით ეთანხმება ამ ავგისტოს კომიტეტის სხდომაზე მიღებულ დადგენილებას და ავალებს ყველა პარტიის წევრებს სასტიკათ გაატარონ იგი ცხოვრებაში.

კონფერენცია ისმენს მოხსენებას მეხუთე კითხვის შესახებ (ფინანსიური მხარე) და გამოუქვეს შესაფერი დადგენილება.

მოსმენილ იქნა ზოგი განცხადებები, რომლის შემდეგაც დაიწყო არჩევნები.

არჩეულ იქნა ახალი კომიტეტი 7 კაციისაგან. კომიტეტს უფლება ეძლევა კოოპტაციისა.

საგუბერნიო კომიტეტის წევრების არჩევის შესახებ კონფერენცია ადგენს: მანამ სანამ საგუბერნიო კონფერენცია არ შემდგარა და არ არჩეულა მუდმივი საგუბერნიო ცენტრი, კონფერენცია არჩევს და ამტკიცებს გუბკომში გურიიდან წარმომადგენლებათ იმ სამ ამხანაგს, რომლებსაც ფა[illegible]ნათ მუდმივათ დღე-ძღისაც უხდებოდათ და უხთებათ ეწალაც საგუბერნიო კომიტეტის კრებებზე დასწრება. დასასრულ კონფერენციამ აირჩია სარევიზიო კომისია სამი წევრისაგან.

შეუდრეკელი.

სოფელი და მიწის მუშა

სენაკის მაზრა.

ახალი მოსავალი.

წვიმები ხშირია, მაგრამ ჭირნახულის მოწვევა მაინც დაიწყო... ხალხი ამოძრავდა, თუმცალა მუშაობა ძნელდება... მშრომელი ხალხი პესიმისტურად შეჰყურებს ახალ მოსავალს... მდგომარეობა კრიტიკულია, რომელიც ნაყოფია ზაფხულის თვეების... ღარიბ-ლატაკმა თავისი წლიური სარჩო ნახევარზე მეტი ნედლად გაათავა. ახალი მოსავალი მასთუ ეყოფა იანვრამდის, ისიც დიდია და შემდეგ განმეორდება ძველ ისტორიაზე უარესი.

ღარიბ-ლატაკი ზამთრის მოლოდინში.

ზამთარი დგება... მშრომელი ხალხი შიშველ-ტიტველია... შიშისაგან თავს ზარი ეცემა. სპეკულიანტი განცხრომაშია. საცელები ხომ სანახევროდ არ აცია ხალხს (ღარიბ-ლატაკთ); და მატყლიც არ არის. ფიქრობენ, კოოპერატივ-ერობის საშვალებით ხალხს (ალბად დემოკრატიას) დაურიგებენ, და ზედმეტს საზღვარ-გარედ გაუდიანო. ამისათვის გაიგზავნა ერობიდან (ბანძის რაიონ.) კაცი მატყლის მოსატანად, მაგრამ უთხრეს, რომ კოოპერატივის საშვალებით მიეცემა ყველასო. გაგზავნილი კაცი ხელ-ცარიელი გამობრუნდა უკან.

საყურადღებოა, რომ მთავრობამ მატყლი შეისყიდა 2,000 მან. და ჰყიდის 4,500 მან. რაშია საქმე? მთავრობაც სპეკულიაციას ეწევა??? ხალხს უკვირს. აი ეს მოდიოდა საქართველოში. და ესეც არა გვაქვსო.

ძველი ნაყიდი ხომ დაიხა და ახალი აწი არ ვიცი!

კულაკი, სპეკულიანტი ან მოწყობილია, ან დღეს თუ ხვალ მაინც მოწყობილი იქნება. ისიც, რაც ღარიბ-ლატაკს გააჩნია, სპეკულიანტ-კულაკების ხელს ვერ გადაურჩება...

სანიტარული საქმე.

ხალხის ჯანმთელობა საფრთხეშია... ღარიბ-ლატაკი იკვებება უმეტესად დღეში ერთხელ და ისიც მუდმივად ლობიოთი და ლომით, თუ ჭადით, და ხორცეულობა ხომ იცით ეის განკარგულებაშია: ვინც სიმინდს ჰყიდის, ზედმეტ საქონელს და სხვა...

ღარიბი დღე და ღამე მუშაობს, მაინც არაფერი აქვს; მშიერია, ავადაა—წამალი და ექიმი მათთვის არაა. უფულობის გამო. საავადმყოფოები ღარიბთათვის არ არსებობს; ამიტომ ადრეეე ესალმებიან წუთი სოფელს.

ჰიგიენურ მდგომარეობაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

კულაკები და ღარიბ-ლატაკები.

კულაკი ეუბნება ღარიბს: „შე ასეთ ისეთო, წელს სიღარიბეში ხარ, გაისად და ყოველთვეს. აი მე ვმუშაობ და მაქვსო“. მიწები რაც რომ იყო, კულაკებმა ჩაიგდეს ხელში და ღარიბი კი მუდამ სიღარიბეში იყო და ეხლა კი მთლად იღუბება... ღარიბი სანახევროდ მუშაობს ან კულაკის, ან ყოფილი თავად-აზნაურის მიწაზე. არის რაიონი (ნოქალაქევი), სადაც მიწები დაყოფილია 3 კატეგორიათ I—სამეოთხედოთ, II—სამეხუთედოთ და III—სამეექვსედოთ; დაბრსდა მიწის მუშათა კავშირი, მაგრამ ადმინისტრაციამ (ბანძა) გაანადგურა, „თუ შემდეგისათვის გაგიბედიათ ამგვარი საქმე, ციხეში გაგაგზავნითო“—აი პასუხი ადამინისტრაციისა. კლასთა ბრძოლა ღრმავდება... კულაკები, სპეკულიანტები, ვაჭრები, ყოფილი თავად-აზნაურები, ადმინისტრაცია და მენშევიკები ერთ ფრონტზეა და მეორე ფრონტზე ღარიბ-ლატაკნი, ეს ბრძოლა დღეს მიმდინარეობს თავის თავად, ჩუმად და ყველა თავის რიგებში სდგება.

აგრარული რეფორმა და მისი შედეგები.

აგრარული რეფორმა, როგორც ვიცით საქართველოშა გატარდა. შედეგი ისევ ძველებურია: ღარიბი დარჩა ღარიბად, და კულაკ-ვაჭარი კიდევ უკეთესად. ყოფილ თავად-აზნაურები (7 დესეტ. მიწასავე) რალაცას ინსტიქტიურად გრძნობენ და ყიდიან ნორმაში დატოვებულ მიწას სამოც და ასი ათას მან. ქცევას. და დესეტინა ხომ ორი ქცევა და 20 საუ. აქეთ დღევანდელი მემამულე დესეტინაზე იღებს ას ოთხმეცათას მანეთამდე. მერე ვინ ყიდულობს ამას, თქვენც მიხვდებით მკითხველო!

ფონდის მიწები ჯერ ერობის გამგეობის კულაკმა—ეკონომებმა დაინაწილეს შინაურულად და შემდეგ ნათლი-მამობით, მეკრთამეობით (ბანძის რაიონი) ზოგიერთებს უწყალობებს.

აგრარულ ნიადაგზე დიდი უკმაყოფილებაა, მაგრამ ადმინისტრაციის მათრახები მზადაა... ექსცესები მაინც არის: გალახვა, დასახიჩრება და საჩივრები კი აფარებელი.

გული გიკვდება როდესაც სედავ, რომ დღევანდელი მემამულე (ყოფ. თავ.-აზნ.) ცხენით დადის თავის მამულებზე ღალის ასაკრეფად. „ბატონო!“ მობრძანდით და დახედეთ თქვენს მამულის მოსავალს, გაყავით შეაზე (ბანძა) სიმინდი და სასახლეში „მოგართმევთ“—კარგი, ოლონდ სუფრაც მოამზადე“ „ბატონი ბრძანდებით“. ზოგიერთ ადგილებში (აბაშის რაიონი) კულაკი სპეკულიანტი ჩემი თვალის წინ ეუბნებოდა: „თუ ნახევარი არ მოგიცია, მე მეოთხედს არ წავიღებ და საგანისოდ, მიწას ჩემგან გამოეთხოვე“.

სწავლა-განათლება და ღარიბ-ლატაკი.

სკოლების მოთხოვნილება დიდია. მოწაფეები აუარებელია. ღარიბ-ლატაკის შვილები სანახევროდ უწიგნო-ურვეული, ფეხ-შიშველი და ტიტველი დაიარება... ზამთარი დგება და მით დამოუკიდებელი მიზეზების გამო (სიღარიბე) სწავლას თავს დაანებებენ—და მერე ხომ იცით, მათი ბედი... ერთის სიტყვით, ღარიბთათვის ღღევანდელ პირობებში სწავლა-განათლება მიუწდომელია.

ნ. ბალინი.

ფოთის რკინისგზის რაიონულ პავშირის თავმჯდომარეს გ-ნ სერგო სიხარულიძეს

გაზ. „ახალ კომუნისტს“ მე-39 №-ში ამბ. რკინის გზელი სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა, რომ საქართველოში რკინის გზაზე შტატის შემცირების დროს მხოლოდ კომუნისტებზე მიქონდათ იერიშები, მხოლოდ კომუნისტები იქნენ გაყრილი სამსახურიდანო. ჩვენ ბევრი მაგალითი გვაქვს ამისი,, რომ ეუბნებოდენ ჩვენს ამხანაგებს: „დაანებეთ თავი კომუნისტობას, ჩაიწერე ჩვენს პარტიაში, თორემ დაგითხოვთ სამსახურიდანო“ და სხვა. ამ კანონიეთ, სრულიად სამართლიანი მხილების მათრახებს ზურგი აუწვავს ბ. სერგო, სიხარულიძისათვის და გამოულაშქრებია „რკინის გზელის“ № 38-ში ის არა-მკითხე ვექილის როლში გამოდის და საქართველოს და კერძოთ ფოთის რკინის გზის ადმინისტრაციის შურისძიებას კომუნისტებზე შემდეგნაირად ხსნის; ვითომ მათ არა კომუნისტობისათვის დაგვითხოვეს ჩვენ, არამედ როგორც ქურდები, სპეკულიანტები, ლოთები, უბნეონი და სხვა. ე. ი. მე ვყოფილვარ ქურდი, ლოთი, უბნეო სპეკულიანტი; აი თურმე რატომ გამაგდეს სამსახურიდან, რასაც ჩემი თავმოყვარეობა ვერას დროს ვერ შეურიგდება.

და აი სწორეთ ამიტომ გიწვევთ სამედიატორო სასამართლოში, სადაც უნდა დამიმტკიცოთ: 1) უბნეობა, 2) ქურდობა, 3) ლოთობა და ან სპეკულიანტობა. ვასახელებ მედიატორებათ ბ. ფრანგიშვილს და რ. ჯაბურიას, რომელთაც განაჩენი გამოეთქვა იქნება გამოქვეყნებული. წინადადებას გაძლევთ ამ წერილის გამოქვეყნებიდან ათი დღის განმავლობაში დასახელოთ თქვენი მედიატორები და გამომყვეთ სასამართლოში. წინააღმდეგ შემთხვევაში უფლებას ვიტოვებ გაწოდოთ საჯაროთ შესაფერი სასელი.

ნესტორ თარგამანიძე.

ქ. ფოთი, 8 ნოემბერი.

დრ. რედაქტორი: ლ. სუხიშვილი.

განცხადებანი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასაჟის ქ. № 3, მეორე სართული, ტელ. 8—91.

ცენტრ. კომ. ბიურო დიან დილის 11—1 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბილისის საგუბერნიო კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასაჟის ქუჩ. № 3, მეორე სართული. ტელ. 8—91. ბიურო ღია დილის 9—2 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. პიტერბურგი ბაიანის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩ., № 165. ბიურო ღია საღ. 5—7 სახ. საათამდე.

ს. კ. პ. თბილისის მეოთხე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის ბირდაპირ), სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღია დილის 10—1 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მეორე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

ბიურო ღია დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მესამე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღია დილის 10—1 სახ. საათამდე და საღამოს 6—7 სახ. საათ.

სტამბა „ეკონომია“ დადიანის ქ. № 3.